



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-73. 73261562

თარიღი:05/06/2026

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო
ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების თანდართული ნუსხა (დანართი №1)

მუხლი 2.

განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.

ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: საჩხერე, აღმაშენებლის ქ.№3) დაინტერესებული მხარის მიერ განკარგულების ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ლაბაძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-73. 73261564

თარიღი:05/06/2026

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აგარიული და ხმელი ხეების
მოჭრის ნებართვის გაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 ნაწილისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1

გათვალისწინებულ იქნეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 02 მარტის №72.72260612 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2026 წლის 28 აპრილის №2 აქტი (დანართი №1) და ნება დაერთოს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიას, მოჭრას 45 ძირი აგარიული და ხმელი ხე:

ა) 2 ძირი ნაძვი სოფელ ითხვისში, წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის მიმდებარედ არსებულ სასაფლაოზე;

ბ) 1 ძირი ნეკერხალი სოფელ მღვიმეში წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრის მიმდებარედ არსებულ სასაფლაოზე;

გ) 7 ძირი კობიტი, 4 ძირი ცხემლა, 11 ძირი მუხა, 10 ძირი კვინცხა, 1 ძირი ალვა და 9 ძირი რუსული ეკალი სოფელ წირქვალში ცენტრალური სასაფლაოს ტერიტორიაზე.

მუხლი 2.

1. მიღებული საშეშე მასალის განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

2. მოჭრილი ხეების ნაცვლად მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეულ ადგილზე დაირგას ფოთლოვან და მარადმწვანე წიწვოვან მცენარეთა ნერგები.

მუხლი 3

განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4.

ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: საჩხერე, აღმაშენებლის ქ.№3) განკარგულების ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ლაბაძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-73. 7326156001

თარიღი:05/06/2026

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის I კვარტლის
შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ასევე „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის საფუძველზე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1

დამტკიცდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების თანდართული ანგარიში (დანართი №1).

მუხლი 2

განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: საჩხერე, აღმაშენებლის ქ.№3) განკარგულების ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ლაბაძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-73. 73261563

თარიღი:05/06/2026

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ჭიათურა-
საჩხერის ეპარქიისათვის უსასყიდლოდ პირდაპირი განკარგვის წესით ჩუქების ფორმით
გადაცემის თაობაზე ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, აგრეთვე „მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ჭიათურა-საჩხერის ეპარქიის 2025 წლის 20 ოქტომბრის მომართვის საფუძველზე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერს, უსასყიდლოდ პირდაპირი განკარგვის წესით ჩუქების ფორმით საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ჭიათურა-საჩხერის ეპარქიას გადასცეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება - მეორადი გამოყენების 13 (ცამეტი) ერთეული კედლის ფილა (2,80მ X 1,75მ).

მუხლი 2.

განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.

ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: საჩხერე, აღმაშენებლის ქ.№3) დაინტერესებული მხარის მიერ განკარგულების ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ლაბაძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის
პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში

I თავი
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1. ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

ათას ლარებში

დასახელება	2026 წლის იანვარ-მარტის თვის გეგმა			2026 იანვარ-მარტის თვის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12933.100	2085.500	10847.600	11878.626	2083.400	9795.226
გადასახადები	6978.700	0.0	6978.700	6069.515	0.000	6069.515
გრანტები	4085.500	2085.500	2000.000	4083.400	2083.400	2000.000
სხვა შემოსავლები	1868.900	0.0	1868.900	1725.711	0.000	1725.711
ხარჯები	11530.725	1298.047	10237.678	10499.779	1297.917	9201.862
შრომის ანაზღაურება	1356.213	0.0	1356.213	1140.326	0.0	1140.326
საქონელი და მომსახურება	993.340	590.790	402.550	974.869	590.660	384.209
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
სუბსიდიები	7021.610	58.037	6968.573	6376.109	58.037	6318.072
გრანტები	1.200	0.0	1.200	0.982	0.0	0.982
სოციალური უზრუნველყოფა	1118.412	0.0	1118.412	991.335	0.000	991.335
სხვა ხარჯები	1039.950	649.220	390.730	1016.158	649.220	366.938
საოპერაციო სალდო	1402.375	787.453	609.922	1378.847	785.483	593.364
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2360.678	1544.313	811.365	1938.621	1543.395	395.226
ზრდა	2360.678	1544.313	811.365	1938.621	1543.395	395.226
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მთლიანი სალდო	-958.303	-756.860	-201.443	-559.774	-757.912	198.138
ფინანსური აქტივების ცვლილება	-958.303	-756.860	-201.443	-559.774	-757.912	198.138
ზრდა	0.0	0.000	0.0	198.138	0.000	198.138
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.000	0.0	198.138	0.000	198.138
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
კლება	958.300	756.900	201.400	757.912	757.912	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	958.300	756.900	201.400	757.912	757.912	0.0

ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
სესხები	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
ვალდებულებების ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
კლება	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

2. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

ათას ლარებში

დასახელება	2026 წლის იანვარ-მარტის თვის გეგმა			2026 წლის იანვარ-მარტის თვის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	12933.100	2085.500	10847.600	11878.626	2083.400	9795.226	91.8	99.9	90.3
შემოსავლები	12933.100	2085.500	10847.600	11878.626	2083.400	9795.226	91.8	99.9	90.3
არაფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	13891.403	2842.360	11049.043	12438.400	2841.312	9597.088	89.5	100.0	86.9
ხარჯები	11530.725	1298.047	10237.678	10499.779	1297.917	9201.862	91.2	100.0	89.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	2360.678	1544.313	816.365	1938.621	1543.395	395.226	82.1	99.9	48.4
ვალდებულებების კლება	0	0	0	0	0	0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	-958.303	-756.860	-201.443	-559.774	-757.912	198.138	0.0	0.0	0.0

1. საგადასახადო შემოსავლები

ათას ლარებში

დასახელება	2026 წლის იანვარ-მარტის თვის გეგმა	2026 წლის იანვარ-მარტის თვის ფაქტი	პროცენტი
დამატებული ღირებულების გადასახადი	6778.700	6029.370	88.9
ქონების გადასახადი	200.000	40.145	20.1
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	195.000	26.337	13.5
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.000	2.407	0.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0.000	3.939	0.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	5.000	7.462	0.0
გადასახადები სულ	6978.700	6069.515	87.0

2. გრანტები

ათას ლარებში

დასახელება	2026 წლის იანვარ- მარტისთვის გეგმა	2026 წლის იანვარ- მარტისთვის ფაქტი	პროცენტი
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	570.500	569.816	99.9
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.000	0.000	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თხნები	1515.0	1513.584	99.9
სპეციალური ტრანსფერი	2000.0	2000.0	100.0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ	0.000	0.000	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.000	0.000	0.0
მაღალმთიანი განვითარების ფონდი	0.000	0.000	0.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.000	0.000	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.000	0.000	0.0
გრანტები სულ	4085.5	4083.4	99.9

3. სხვა შემოსავლები

ათას ლარებში

დასახელება	2026 წლის იანვარ-მარტისთვის გეგმა	2026 წლის იანვარ- მარტისთვის ფაქტი	შესრულების პროცენტი
შემოსავლები საკუთრებიდან	1838.900	1725.711	92.3
პროცენტები	25.0	35.572	142.3
დივიდენდები	0.0	0.00	0.0
რენტა	1813.900	1597.932	88.1
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	1813.900	1591.720	87.8
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0.000	6.212	0.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0.000	0.000	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	10.000	11.911	119.1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	10.000	4.658	46.6
სანებართვო მოსაკრებელი	5.000	0.452	9.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.000	0.040	0

ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0.000	6.434	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	5.000	4.206	84.1
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0.000	7.253	0.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	20.000	65.579	327.9
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0.000	14.717	0.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.000	0.000	0.0

შენიშვნა: სანებართვო მოსაკრებელი მუნიციპალიტეტმა დაგეგმა გასული წლის ფაქტიური შემოსავლის მიხედვით.

4. არაფინანსური აქტივების კლება

ათას ლარებში			
დასახელება	2026 წლის იანვარ- მარტის თვის გეგმა	2026 წლის იანვარ- მარტის თვის ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0
მატერიალური მარაგები	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	0.0	0.0	0.0
მიწა	0.0	0.0	0.0
არაფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0

5. ხარჯები ეკონომიკური მუხლების მიხედვით

ათას ლარებში			
დასახელება	2026 წლის იანვარ-მარტის გეგმა	2026 წლის იანვარ- მარტის ფაქტი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	1356.213	1140.326	84.1
საქონელი და მომსახურება	993.340	974.869	98.1
პროცენტები	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	7021.610	6376.109	90.8
გრანტები	1.200	0.982	81.8
სოციალური უზრუნველყოფა	1118.412	991.335	88.6
სხვა ხარჯები	1039.950	1016.158	97.7
ხარჯები სულ	11535.725	10499.779	91.0

6. არაფინანსური აქტივების ზრდა

ათას ლარებში			
დასახელება	2026 წლის იანვარ- მარტის თვის გეგმა	2026 წლის იანვარ- მარტის თვის ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	2360.678	1938.621	82.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	2360.678	1938.621	82.1

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

ათას ლარებში				
პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის იანვარ-მარტის თვის გეგმა	2026 წლის იანვარ- მარტის თვის ფაქტი	პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	43.698	43.639	99.9

02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	2252.880	1832.741	81.4
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	5.000	4.200	84.0
04 00	განათლება	58.500	57.521	98.3
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	0.600	0.520	86.7
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.000	0.000	0.0
	სულ	2360.678	1938.621	82.1

7. ვალდებულებები

ათას ლარებში			
დასახელება	2026 წლის იანვარ-მარტის გეგმა	2026 წლის იანვარ-მარტის ფაქტი	პროცენტი
საშინაო კრედიტორები	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0

ვალდებულებების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წელში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებულ სესხის (დასუფთავების 3 ერთეული სპეც. ავტომაქსა და 100 ცალი ურნა) დაფარვას. მგფ-ის მიმართ მუნიციპალიტეტის სასესხო დავალიანება 2025 წლის 1 აპრილის მდგომარეობით შეადგენს 40.046 ათას ლარს.

8. შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ათას ლარებში				
ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2026 წლის იანვარ - მარტის თვის გეგმა	2026 წლის იანვარ-მარტის თვის ფაქტი	პროცენტი
7,1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1921,603	1678,683	87,4
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1921,153	1678,353	87,4
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1921,153	1678,323	87,4
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,000	0,000	0,0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,000	0,000	0,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,450	0,330	73,3
7,4	ეკონომიკური საქმიანობა	2849,400	2354,900	82,6
7.4 5	ტრანსპორტი	650,000	564,024	86,8
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2849,400	2354,900	82,6
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0,000	0,000	0,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	0,000	0,000	0,0
7,5	გარემოს დაცვა	956,800	796,372	83,2

7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	956,800	796,372	83,2
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0,000	0,000	0,0
7,6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	1214,700	1081,134	89,0
7.6 1	ბინათმშენებლობა	649,220	649,220	100,0
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,000	0,000	0,0
7.6 3	წყალმომარაგება	324,000	256,967	79,3
7.6 4	გარე განათება	210,000	152,861	72,8
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	31,480	22,086	70,2
7,7	ჯანმრთელობის დაცვა	104,000	91,204	87,7
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	104,000	91,204	87,7
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,000	0,0	0,0
7,8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2275,500	2138,419	94,0
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1031,755	1019,247	98,8
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1173,745	1052,322	89,7
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	62,000	60,000	96,8
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების , კულტურისა და რელიგიის სფეროში	8,000	6,850	85,6
7,9	განათლება	3228,200	3095,830	95,9
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2579,410	2448,088	94,9
7.9 2	ზოგადი განათლება	648,790	647,742	99,8
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	0,000	0,000	0,0
70923	საშუალო და ზოგადი განათლება	0,000	0,000	0,0
7 10	სოციალური დაცვა	1341,200	1201,926	89,6
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	717,900	607,112	84,6
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	646,900	538,162	83,2
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	71,000	68,950	97,1
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	12,000	11,500	95,8
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	429,500	408,162	95,0

7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	84,300	79,212	94,0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	97,500	95,940	98,4
	სულ	13891,403	12438,468	89,5

9. ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 3885.021 ათასი ლარი, მათ შორის:

ნაშთი 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		
	დასახელება	თანხა
	2026 1 იანვრის მდგომარეობით	3885021
	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	
1	საქართველოს პრეზიდენტის №771 განკარგულება 26/12/2007- რეგრესის პენსია	5591,17
2	№972 განკარგულება 26/05/2012 - მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად	15400
3	საქართველოს მთავრობის №554 განკარგულება 15/09/2019 - ამბულატორიების სარეაბილიტაციოდ	329,83
4	მიზნობრივი ტრანსფერი	133892,33
5	საქართველოს მთავრობის №2577 განკარგულება 31/12/2018 - გზის სარეაბილიტაციოდ	82,49
6	საქართველოს მთავრობის №45 განკარგულება 22/01/2019 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.	0,96
7	საქართველოს მთავრობის №558 განკარგულება 15/03/2019 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ	9559,7
8	საქართველოს მთავრობის №27 განკარგულება 09/01/2020 - სკოლის სარეაბილიტაციოდ	0,4
9	საქართველოს მთავრობის №27 განკარგულება 09/01/2020 - სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფისათვის.	0,66
10	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 - საყრდენი კედლების სარეაბილიტაციოდ	1,34
11	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 - სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციოდ	94,74
12	საქართველოს მთავრობის №2752 განკარგულება 31/12/2019 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,95
13	საქართველოს მთავრობის №2685 განკარგულება 31/12/2020 - გზის სარეაბილიტაციოდ	2,29
14	საქართველოს მთავრობის №168 განკარგულება 05/02/2021- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,58
15	საქართველოს მთავრობის №51 განკარგულება 14/01/2022 - სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფისათვის	1,4
16	საქართველოს მთავრობის №783 განკარგულება 13/05/2025 წლის ქ. ჭიათურაში რკინიგზის მიმდებარედ საფეხმავლო ხიდის სარეაბილიტაციოდ	30210
17	საქართველოს მთავრობის №131 განკარგულება 26/01/2022 - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ	0,6
18	საქართველოს მთავრობის №277 განკარგულება 15/02/2022 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1479,96
19	საქართველოს მთავრობის №75 განკარგულება 17/01/2022 - სოფელ მორძვეთში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციოდ	0,35
20	საქართველოს მთავრობის №2476 განკარგულება 29/12/2022 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	5862,18
21	საქართველოს მთავრობის №116 განკარგულება 20/01/2023 - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ	6631,04


22	საქართველოს მთავრობის №2475 განკარგულება 29/12/2022 - გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის	1
23	საქართველოს მთავრობის №147 განკარგულება 23/01/2023 - სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფისათვის	0,83
24	საქართველოს მთავრობის №2401 განკარგულება 28/12/2023 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	118835,38
25	საქართველოს მთავრობის №2402 განკარგულება 28/12/2023 - გზის სარეაბილიტაციოდ	9028,76
26	საქართველოს მთავრობის №2402 განკარგულება 28/12/2023 - ტროტუარების სარეაბილიტაციოდ	0,73
27	საქართველოს მთავრობის №2400 განკარგულება 28/12/2023 - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ	35417
28	საქართველოს მთავრობის №2400 განკარგულება 28/12/2023 - ქ.ჭიათურაში, საშვეარდნოს კლდიდან ქვათაცვენის შემაკავებელი სამუშაოებისათვის	340136
29	საქართველოს მთავრობის №2400 განკარგულება 28/12/2023 - საყრდენი კედლის სარეაბილიტაციოდ	8964
30	საქართველოს მთავრობის №2400 განკარგულება 28/12/2023 - გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის	10171
31	საქართველოს მთავრობის №1025 განკარგულება 23/07/2024 - მოქალაქეთა ჩართულობის პროგრამისათვის	3,3
32	საქართველოს მთავრობის №1955 განკარგულება 31/12/2024 - რკინიგზის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის	76764,44
33	საქართველოს მთავრობის №1955 განკარგულება 31/12/2024 - გზების სარეაბილიტაციოდ	1,27
34	საქართველოს მთავრობის №1955 განკარგულება 31/12/2024 - სკვერების სარეაბილიტაციოდ	364055
35	საქართველოს მთავრობის №53 განკარგულება 16/01/2025 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	317692,19
36	საქართველოს მთავრობის №302 განკარგულება 30/07/2025 - სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება	194548,81
37	საქართველოს მთავრობის №1424 განკარგულება 27/08/2025 - დიდთოვლობის შედეგად დაზიანებული სახლების საკომპენსაციოდ გასაცემი თანხა	8864
38	საქართველოს მთავრობის №1604 განკარგულება 30/09/2025 - სკოლების რეაბილიტაცია	31806,29
39	საქართველოს მთავრობის №1955 განკარგულება 31/12/2025 - წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია	91272,72
40	საქართველოს მთავრობის №1550 განკარგულება 24/09/2025 - სტიქიის სალიკვიდაციოდ (სახურავები)	705358,35
41	საქართველოს მთავრობის №1207 განკარგულება 30/07/2025 - მოქალაქეთა ჩართულობის პროგრამისათვის	206176
42	საქართველოს მთავრობის №2130 განკარგულება 18/12/2025 - უნივერსიტეტის მიმდებარედ საცურაო აუზის მოწყობისათვის	192028
43	საქართველოს მთავრობის №1604 განკარგულება 30/09/2025 - საჯარო სკოლებისათვის საწვავი ბრიკეტების შესასყიდად	162676,4
44	საქართველოს მთავრობის №1098 განკარგულება 9/07/2025 - საჯარო სკოლების რეაბილიტაცია.	670295,52
		3753240,69
	საკუთარი ნაშთი	131780,31

II თავი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუხლი 3


მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველ კვარტალში ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 12438.468 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13891.403) 89.5 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 1275.896 ათასი ლარით, ხოლო 2024 წლის - 2632.468 ათასი ლარით.



პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით			
პროგ. კოდი	დასახელება	2026 წლის 3 თვე ფაქტი	%
სულ	მუნიციპალიტეტის ასიგნებები	12438.400	89.5
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	1678.653	87.4
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	3435.996	84.5
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	796.372	83.2
04 00	განათლება	3095.830	95.9
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2138.419	94.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1293.130	89.5

2026 წლის დაფინანსებები



1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო წელს მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 1678.653 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1921.603 ათასი ლარი) 87.4 %-ია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები:

- მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 293.564 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 1384.759 ათასი ლარი
- სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 78.058 ათასი ლარი. მათ შორის:

ორგ.კოდი	ბრძანების №	სახელი	გვარი	თანხა
06 02 05 03	872.72260134	ალექსანდრე	ბაბლიძე	800
		ზურაბ	წერეთელი	2500
06 02 05 03	872.72260135	გელა	მიქაცაძე	3000
06 02 05 03	872.72260272	ეთერი	კეკნაძე	200
06 02 05 03	872.722603315	ელისო	კუპატაძე	1000
		გელა	ცუცქირიძე	1500
		ვახტანგ	კიკნაძე	300
		ამირანი	გოგატიშვილი	1000
		რუსუდან	ყიფშიძე	300
		ანგელინა	აბესაძე	100
		ია	დევიძე	600
		დალი	ჭოლოშვილი	300
		ნინო	კენჭოშვილი	1200
		მარიამ	ბიწაძე	200
06 02 05 03	872.72260293	რომანი	გაფრინდაშვილი	3000
06 02 05 03	872.72260294	დიმიტრი	ჩუბინიძე	500
06 02 05 03	872.72260366	რუსუდან	ყიფშიძე	1200
		იმედი	ჩუბინიძე	1000
		ლევანი	მაჭარაშვილი	1000
		ზაზა	ცუცქირიძე	1000
		ნუგზარი	სამყურაშვილი	1000
		ზურაბ	გაფრინდაშვილი	1000

		ბექარ	გოცაძე	1000
		მალხაზ	კობიაშვილი	1000
		გია	ხვედელიძე	1000
		გივი	წერეთელი	1000
		მიხეილ	ნოზაძე	1000
		მირზა	შუბითიძე	1000
		მურმანი	გელბახიანი	1000
06 02 05 03	872.722604211	ირინე	ხვედელიძე	1100
		ოლია	კირვალიძე	500
		თენგიზი	სუთიძე	1000
06 02 05 03	872.72260485	იზოლდა	ქურცაძე	300
		თინათინ	ცერცვაძე	312
		ნოდარი	ბარათაშვილი	1500
		რუსუდან	თუთარაშვილი	1000
		ემზარ	მიქაცაძე	1500
		ირმა	გორგაძე	300
02 01 05	872.72260556	გოგებაშვილის ქუჩის №18 და №20 სახლების მიმდებარედ დაზიანებული საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო სამუშაოებისათვის		18000
06 02 05 03	872.72260563	ზაზა	ბრეგვაძე	1000
		სოფიკო	ცხოვრებაძე	500
06 02 05 03	872.72260637	თამარ	ტყემალაძე	1500
		ირმა	ლომთათიძე	1500
03 02	872.72260707	საჩხერის გზატკეცილზე წყალსადების შენობის მიმდებარედ გზის თავზე კლდოვანი ფერდობის ჩამოწმენდის სამუშაოებისათვის		9846
06 02 05 03	872.72260762	თორნიკე	ღავთაძე	2000
06 02 05 03	872.72260684	ნინო	შეყილაძე	500
		მაია	ხვედელიძე	1000
		ემზარი	შეყილაძე	200
		ირაკლი	ბარბაქაძე	1000
		გრიგოლ	დარბაიძე	400
		რამაზი	ბათირაშვილი	1000
06 02 05 03	872.72260834	გიორგი	კაპანაძე	500
		ქეთევან	ტყემალაძე	300
		აზა	ბოჭორიშვილი	600
		მირზა	მიქაუტიძე	500
		გელა	ტყემალაძე	500
ჯამი				78058

2. ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარებაზე საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 3435.996 ათასი ლარით, რაც გეგმის 84.5 პროცენტია. თანხები მიმართული იქნა შემდეგ პროგრამებზე:

ათას ლარებში

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2026 წლის იანვარ-მარტის თვის გეგმა	2026 წლის იანვარ-მარტის თვის ფაქტი	პროცენტი
02 00	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;	4064.100	3435.996	84.5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2199.400	1790.838	81.4

02 01 02	გზების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	2199.400	1790.838	81.4
02 01 04	ხიდებისა და მოაჯირების აღდგენა მშენებლობა	0.000	0.000	0.0
02 01 05	საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობა	0.000	0.000	0.0
02 01 06	ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების, კიბეების, მოედნების მოწყობა	0.000	0.000	0.0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	324.000	256.967	79.3
02 02 01	წყალმომარაგების სისტემის ექსპლუატაცია	302.000	237.150	78.5
02 02 02	წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია	22.000	19.817	90.1
02 03	გარე განათება	210.000	152.861	72.8
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	210.000	152.861	72.8
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	650.000	564.024	86.8
02 04 01	მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება	650.000	564.024	86.8
02 04 02	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება	0.000	0.000	0.0
02 06	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	649.220	649.220	100.0
02 06 02	საცხოვრებელი სახურავების რეაბილიტაცია სახურავის მასალის შეძენა	649.220	649.220	100.0
02 06 03	საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღდგენა	0.000	0.000	0.0
02 07	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	31.480	22.086	70.2
02 07 01	მწვანე ნარგავების განაშენიანება სკვერების მოვლა-პატრონობა	0.000	0.000	0.0
02 07 02	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	31.480	22.086	70.2

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება გზების მშენებლობა რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობა წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გარე განათების როგორც ელექტრო ენერგიის ხარჯის გაწევა, სატრანსპორტო სისტემის დაფინანსება რომელიც უზრუნველყოფს შიდასაქალაქო მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილებას როგორც სამარშუტო ისე საბაგირო გზით, ასევე ახორციელებს მუნიციპალიტეტის მამულებით დაზიანებული გზების ორმულების რეაბილიტაციას. მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება რომლის ფარგლებში შეძენილია ოთხი ერთეული სამგზავრო ავტობუსი, ტარდება კეთილმოწყობის ღონისძიებები როგორიცაა მწვანე ნარგავების განაშენიანება სკვერების მოვლა-პატრონობა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გასაწევი ღონისძიებები.

ა) გზების მშენებლობა კაპიტალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 01 01)

2026 წლის იანვარ-მარტის თვის განმავლობაში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქის მიმართულებით მიმდინარე სამუშაოები:

სოფელ ქვაციხეში ცხოვრებაძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები

სოფელ ვანში ცენტრალური გზის მოწყობის სამუშაოები.

სოფელ ხვაშითში ბუხალაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია.

სოფელ პერევისაში წივილაშვილები გოგოლაძეების უბანში 350 გრძ/მ გზის მოწყობის სამუშაოები.

სოფელ რკვიანში ბიძინა სამხარაძის უბანში გზის მოწყობის სამუშაოები.

სოფელ ზოდში სხირტლაძეები იობაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია.

სოფელ ზოდში ქაშაკაშაშვილების უბანში 1600 გრძ.მ გზის მოწყობა.

სოფელ ბჟინეში დვალაშვილები-აბდუშელიშვილების უბანში გზის მოწყობა.

სოფელ საკურწეში ხვედელიძეები-სარალიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია.

სოფელ ეწერში გოგსაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია.

სოფელ შუქრუთში ნოზაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია.

სოფელ ზედა ჭალოვანში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

სოფელ რგანში ჩალაძეების საუბნო 250მ გზის რეაბილიტაცია.

სოფელ ქვედა ბერეთისაში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

სოფელ ნიგოზეთში მაჭარაშვილები-ასანიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია.

სოფელ წყალშავში ქვრივიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია.

სოფელ მანდაეთში ზედვაკის გზის რეაბილიტაცია.

სოფელ მერევეში ხოკერაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ ითხვისში კაპანაძეები-ნადირაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ ითხვისში ჩინჩალაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ სვერში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ ნავარძეთში სერის უბნის გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ თაბაგრები- ბუნიკაურის გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ თაბაგრებში ჯიქიძეების უბნის (სასაფლაომდე მისასვლელი) გზის რეაბილიტაცია.
 სარქველეთუბანი-ბუნიკაურის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ ქვედა ჭალოვანში დემეტრაშვილების უბნის გზის მობეტონება.
 სოფელ მღვიმევში ნამბულეების უბნის გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ ქვაციხეში ჩუბინიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ ბილაში გოგოლაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ მელუშეთში დაბლა უბნის გზის მობეტონება.
 სოფელ ვაჭევში კვერნები, ბაგრატები, კაკაჩების უბნის გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ ღვითორში ამბლუაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ დარკვეთში 33-ის დასახლებაში საუბნო გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ ხრეითში მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ პერევისაში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ კალაურში სკოლის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ სკინდორში კანიების საუბნო გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ ზედუბნში საუბნო (120მ) გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ ზოდში ჭილაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ ზოდში -წირქალის დამაკავშირებელი 225მ გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ ზედა ჭალოვანში ბიჭიას უბნის გზის რეაბილიტაცია.
 რგანი-ვაჭევის შემაერთებელი გზის(ცენტრიდან გველესიანების უბნამდე) რეაბილიტაცია.
 სოფელ ნავარძეთში „მსხლოვანის“ (სასაფლაოს გზა) გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ ზედა რგანში ცენტრალურ გზაზე ბეტონიდან ბეტონამდე შემაერთებული 250გრძ/მ (ვაშაძეების უბანი) გზის რეაბილიტაცია.
 სოფელ ჯოლხეთში აბესაძეების უბნის (100მ) გზის რეაბილიტაცია.

ბ) ხიდებისა და მოაჯირების აღდგენა მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 01 04)

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ -ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მოწესრიგებული ხიდები და მოაჯირები რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის უსაფრთხოდ გადაადგილება. ქვეპროგრამით განხორციელდება ჭიათურაში რკინიგზის სადგურის მიმდებარედ საფეხმავლო ხიდის მოწყობა.

გ) წყლის სისტემების ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის შპს ჭიათურის წყალი სუბსიდირებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების მოვლა-პატრონობას რათა შეუფერხებლად მოხდეს მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება.

დ) წყალმომარაგების მშენებლობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით სოფელ მანდაეთის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები.

ე) გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 02 01)

ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელით დაფარულია 99%. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;
- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;
- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.

პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას და მომუშავეთა ხელფასს.

ვ) მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 02 04 01)

პროგრამა ითვალისწინებს საბაგირო გზის ექსპლოატაციის ხარჯებს რაც უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას და იმ სოფლებისა და დასახლებული უბნების საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფას სადაც მგზავრთა გადაყვანას ახორციელებდა საბაგირო ტრანსპორტი (აღნიშნული ტრანსპორტის ფუნქციონირება შეჩერებულია მათი ამორტიზაციის გამო). მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით - მრავალწლიანი. პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები და საკუთრივ შპს-ს შემოსავლები, რომელსაც იღებს მგზავრთა მომსახურებიდან.

ზ) საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია სახურავის მასალის შეძენა (ორგანიზაციული კოდი 02 06 02)

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების შენარჩუნება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები. ასევე განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 სექტემბრის №1550 განკარგულებით ქალაქში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები:

ქ. ჭიათურაში ბარათაშვილის №50-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში იაშვილის №16-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში ბარათაშვილის №17-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში ბარათაშვილის №19-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში ნინოშვილის №54-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში ჭანტურიას №10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში ჭანტურიას №14-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში აღმაშენებლის №9-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში ბარათაშვილის №46-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში გოგებაშვილის №33-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში გოგებაშვილის №37-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში გოგებაშვილის №41-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში გოგებაშვილის №47-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში თორღვაშვილის №4-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში ჭავჭავაძის №51-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ქ. ჭიათურაში ჭავჭავაძის №57-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

თ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 07 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მოხდა გასული წლის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვადებულებების სამუშაოების შესრულება

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 796.372 ათასი ლარით, რაც გეგმის 83.2 პროცენტია. გამოყოფილი სახსრები მთლიანად მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	2026 წლის იანვარ-მარტის თვის გეგმა	2026 წლის იანვარ-მარტის თვის ფაქტი	პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	956.800	796.372	83.2
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	956.800	796.372	83.2
03 04	სანიაღვრე არხების აღდგენა	0.000	0.000	0.0

დასუფთავება და ნარჩენების გატანა (ორგანიზაციული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ამ მიზნით სუბსიდირება გაეწევა ა(ა)იპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების კეთილმოწყობის სერვის ცენტრს. აიპის ფუნქციონირების ხარჯები მთლიანად ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტით. დასუფთავების მომსახურება მოიცავს მთლიანად ქალაქ ჭიათურას და მის შემოგარენს. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელიდან ხორციელდება ნაგვის გატანა და დასუფთავება სპეც ტექნიკით.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2026 წლის იანვარ-მარტის თვეში დაფინანსდა 3095.830 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 3228.200 ათასი ლარის, 95.9 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 2448.088 ათასი ლარი, საჯარო სკოლების ტრანსპორტირებებზე დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 590.660 ათასი ლარი.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	2026 წლის იანვარ-მარტის თვის გეგმა	2026 წლის იანვარ-მარტის თვის ფაქტი	პროცენტი
04 00	განათლება	3228.200	3095.830	95.9
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2579.410	2448.088	94.9
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	648.790	647.742	99.8

ზოგადი განათლების ხელშეწყობა(პროგრამული კოდი 04 03) აღნიშნული პროგრამით ხორციელდება საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირება ასევე ხორციელდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ თაბაგრების საჯარო სკოლის შენობის სახურავის რეაბილიტაცია, სოფელ წირქვალის და ჭიათურის №2 საჯარო სკოლებისათვის ხდება სხვადასხვა ინვენტარის შეძენა.

5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

